საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/11/2025

MES 0 25 0001589357

გადაწყვეტილება

შპს ალტე უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 07 ივნისის №636791 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ხელოვნული ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება,

თუმცა განახორციელა ცვლილება გარკვეულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა) 1.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია: რეკომენდებული პროგრამა გაძლიერდეს ისეთი სასწავლო კურსებით, რომელიც უზრუნველყობს შესაბამისობას დარგობრივ მახასიათებელთან.

ბ) 1.2 კომპონენტში არ გაითვალისწინა შემდეგი კლსტერული რეკომენდაცია: აკადემიური კეთილსინდისიერების შესანარჩუნებლად და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამების გაერთიანება და კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის შეთავაზება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე (2 პროგრამა) ან ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამის შეთავაზება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე (2 პროგრამა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციალიზაციაზე ორი პარალელური პროგრამის (სულ 4) შეთავაზების ნაცვლად, დაწესებულებამ უნდა შესთავაზოს ერთი პარალელური პროგრამა რომელიმე სპეციალიზაციაში (კომპიუტერული მეცნიერებები ან ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამა) (სულ 2 პროგრამა) ერთიანი სასწავლო გეგმითა და კვალიფიკაციით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა

ანალიტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით - 2029 წლის 11 ნოემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ხელოვნული ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 11 ნოემბრის სხდომის №1589321 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

კლასტერის რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტი

რეკომენდებულია, ევროპულ და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაიხედოს კვალიფიკაციების და მიმართულებების სახელწოდებები. უსდ - მ უნდა უზრუნველყოს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციები ზუსტად ასახავდეს პროგრამის შინაარსს და სპეციალიზაციის მიმართულებებს, იმსჯელოს ცალკე კვალიფიკაციების, მიმართულებებზე დაფუძნებული უფრო მკაფიო აღმწერების აუცილებლობის შესახებ, ან მიმართულებების სახელოწდებების შეცვლაზე შეუსაბამობის და ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად.

რეკომენდებულია, შემცირდეს გამეორებები კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამების არჩევით საგნებსა და სპეციალიზაციის მიმართულებებს შორის, რაც გააძლიერებს თითოეული პროგრამის უნიკალურობას.

1.2 კომპონენტი

150-ზე მეტი ECTS საერთო სავალდებულო კურსების შინაარსის ძლიერი თანმიმდევრულობის გათვალისწინებით, კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამებს შორის განსხვავება ზედაპირულად გამოიყურება. ცალკეული პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა მხოლოდ მცირე არჩევითი განსხვავებების საფუძველზე ქმნის ხელოვნურ განსხვავებას ორ ხარისხს შორის.

1.3 კომპონენტი
რეკომენდებულია, ოფიციალურად დაინერგოს "ციკლის დახურვის" პროცედურები - ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის პროცესებში შეფასების შედეგების სისტემატური გამოყენება. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების მონაცემებში პროგრამის ცვლილებების მტკიცებულებების დოკუმენტირება და ხელმისაწვდომობა (სასწავლო გეგმის განახლებები, შეცვლილი სწავლების სტრატეგიები ან დახვეწილი სწავლის შედეგები).
რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების მეთოდები დიზაინსა და აპლიკაციებზე ორიენტირებულ კურსებში (რელაციური მონაცემთა ბაზები, NoSQL მონაცემთა ბაზები, სისტემების ადმინისტრირების საფუძვლები - Windows და ვებ-დეველოპმენტი I) ლაბორატორიულ, პროექტებზე ან შესრულებაზე დაფუძნებულირუბრიკების ჩათვლით, რაც შეამცირებს მხოლოდ ქვიზებზე დამოკიდებულებას.

1.5 კომპონენტი

რეკომენდებულია, აკადემიური სიცხადის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასწავლო კურსების სახელწოდებები უფრო მკაფიოდ შეესაბამებოდეს სასწავლო კურსების შინაარსს.

რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსები იმისათვის, რომ სასწავლო კურსების შინაარსი ასახავდეს როგორც კონცეპტუალურ სიღრმეს, ისე ყოვლისმომცველ პრაქტიკულ უნარებს.

რეკომენდებულია, შემცირდეს ინსტრუმენტულ სწავლებაზე დამოკიდებულება და მეტი ორიენტაცია გაკეთდეს გამოყენებით კურსებზე და ტრანსფერულ ცოდნაზე.

რეკომენდებულია, დიზაინსა და გამოყენებაზე ორიენტირებულ კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ხელახლა დაბალანსება ლექციებს, ლაბორატორიულ სამუშაოებსა და დამოუკიდებელ სწავლას შორის პროპორციის ოპტიმიზაციის მიზნით.

2.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს და წარადგინოს ფორმალური შეთანხმებები დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებშიც განსაზღვრული იქნება სტუდენტების რაოდენობა, მიზნები, შედეგები და ხანგრძლივობა.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტაცია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკული და შემოქმედებითი კომპონენტების სისტემატური დაგეგმვა, გათვალისწინება და შეფასება სასწავლო გეგმის ფარგლებში.

2.3 კომპონენტი

რეკომენდებულია, სწავლების მეთოდებში მკაფიოდ იქნას გათვალისწინებული სტრატეგიები საერთაშორისო სტუდენტების კულტურული და ლინგვისტური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2.4 კომპონენტი

რეკომენდებულია შეფასების მეთოდების ხელახლა დაბალანსება და გადახედვა გამოყენებით და დიზაინზე ორიენტირებულ კურსებში (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, რელაციური მონაცემთა ბაზები, NoSQL მონაცემთა ბაზები, სისტემების ადმინისტრირების საფუძვლები - Windows და ვებ-დეველოპმენტი I), რათა უზრუნველყოფილი იყოს შესრულებაზე დაფუძნებული, ლაბორატორიული და პროექტებზე დაფუძნებული შეფასებების ჩართვა, რითაც შემცირდება ქვიზებზე დამოკიდებულება.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ აამაღლოს სტუდენტების ცნობიერება ფორმალური გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

4.1 კომპონენტი

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელობა, დარგში კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პროგრამების ხელმძღვანელების დანიშვნით. არსებულ ხელმძღვანელებთან ერთად კომპიუტერული

მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის სპეციალისტების დამატება უზრუნველყოფს უფრო ძლიერ საგნობრივ შესაბამისობას და განვითარებად ტენდენციებზე რეაგირებას.

რეკომენდებულია, პროგრამების უფრო მეტად გამდიდრების მიზნით, უნივერსიტეტმა ეტაპობრივად გააფართოვოს აკადემიური პერსონალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, კომპიუტერულ მეცნიერებასა და ხელოვნურ ინტელექტში - ანუ სფეროებში, რომლებიც უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამ პროგრამების განვითარებისთვის. შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პრაქტიკოსების ჩართულობის გაძლიერება გააუმჯობესებს სწავლების პრაქტიკულ და გამოყენებით ასპექტებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უფრო დაბალანსებულ აკადემიურ და პროფესიულ სასწავლო გარემოს.

პროგრამის რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტი

1) რეკომენდებულია, უსდ - მ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამის უნიკალური აკადემიური და პროფესიული პროფილი კომპიუტერული მეცნიერების პროგრამასთან შედარებით. პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი სწავლის შედეგები უნდა იყოს განასხვავებული, რადგან ამჟამად ისინი თითქმის იდენტურია. უსდ - მ ან უნდა გააძლიეროს ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამა სასწავლო გეგმაში უფრო მკაფიოდ განსაზღვრული სპეციალიზაციის კურსების დამატებით ან თუ ორივე პროგრამა დარჩება იდენტური, თანმიმდევრულად შეუსაბამოს ერთმანეთს მიზნები და სწავლის შედეგები და ორი პროგრამის ნაცვლად წარმოადგინოს ერთი პროგრამა.

1.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ან გაერთიანდეს კომპიუტერული მეცნიერების (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამასთან.

რეკომენდებული პროგრამა გაძლიერდეს ისეთი სასწავლო კურსებით, რომელიც უზრუნველყობს შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებასთან, სწავლის შედეგებთან და დარგობრივ მახასიათებელთან.

1.4 კომპონენტი

რეკომენდებულია, დაზუსტდეს და გაძლიერდეს პროგრამის გამორჩეული აკადემიური იდენტობა კომპიუტერულ მეცნიერებებთან შედარებით, წარმოდგენილი იყოს როგორც ცალკე კვალიფიკაცია და არა როგორც თემატური მიმართულება.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს სტრუქტურას იმისათვის, რომ სასწავლო გეგმაში და არა მხოლოდ არჩევით საგნებში აისახოს პროგრამის სახელწოდებაში გათვალისწინებული სპეციფიკა ხელოვნურ ინტელექტთან და მონაცემებთან დაკავშირებული ძირითადი თემატური სფეროების დამატებით, როგორიცაა მანქანური სწავლება, მონაცემთა ინჟინერია, ხელოვნური ინტელექტის ეთიკა, ალგორითმული გამჭვირვალობა და გადაწყვეტილების მიღება.

რეკომენდებულია, არჩევით ბლოკებს დაემატოს სიღრმისეული და თემატურად ფოკუსირებული კურსები, რომლებიც გააძლიერებენ ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის სპეციალიზაციას.

2.1 კომპონენტი

რეკომენდებულია, საერთაშორისო აპლიკანტებისგან მოთხოვნილი იყოს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ადეკვატური ენობრივი უნარები სასწავლო კურსების განსახორციელებლად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 11 ნოემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ადმინისტრაციული
ეროვნული
ეროვნული